



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №81/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- წარმომადგენლის -- -- 2020 წლის 6 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 აგვისტოს №457/81-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 19 თებერვალს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ ქონების მესაკუთრედ ცნობის, ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების თაობაზე (მოსამართლე - - - -).

2020 წლის 20 თებერვლის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს -- -- სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული -- სააღსრულებო საქმის ფარგლებში დაყადაღებული -- ლიტრი/-- კგ. ბენზინის (რომელიც განთავსებულია -- -- რეზერვუარებში) საჯარო აუქციონზე რეალიზაცია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2020 წლის 26 თებერვალს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

2020 წლის 13 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

2020 წლის 21 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2020 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე.

2020 წლის 22 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადა და განემარტა, რომ სასამართლოში უნდა წარედგინა სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2020 წლის 19 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; -- -- საჩივარი 2020 წლის 13 მარტის განჩინებაზე ელექტრონულ საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა 2020 წლის 13 მარტის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, კანონით განსაზღვრული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. ამავე მუხლის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს“ (2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება).

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის მიერ მხარეთათვის შეჯიბრებითობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ამასთან, დაუსაბუთებელი შუამდგომლობების სასამართლოს მიერ უარყოფა აღნიშნული პრინციპების დარღვევად ვერ იქნება მიჩნეული. პალატის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შეზღუდვად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმგვარი შეზღუდვა, რომელიც კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარეობს.

ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება, რომ „თუკი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილება, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნა“ (*ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, §71*).

გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეებმა თავიანთი ფუნქციები უნდა განახორციელონ გულდასმით და გონივრულ ვადებში. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მომზადება და მხარისთვის ჩაბარება ემსახურება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის მიკერძოების ფაქტს. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განჩინების ჩაბარება ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- წარმომადგენლის -- -- №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი